

მ

ე

ნ

ო

პ

ჟ

რ

ს

თ

მიღუღძები

განსხვავებები

ფონდმა „სოხუმმა“ ჩეხეთის არასამთავრობო ორგანიზაცია „დამოუკიდებელი სოციალურ-ეკოლოგიური მოძრაობის“ (NESEHNUTI) მხარდაჭერით ქუთაისში განახორციელა პროექტი „ადგილობრივი ხელისუფლების პოლიტიკის შეცვლა გენდერულ ბიუჯეტირებასთან მიმართებაში“.

პროექტი მიეძღვნა მუშაობას გენდერულ საკითხებზე სკოლამდელ დაწესებულებებში: ჩატარდა ვორკშოპები საბავშვო ბაღებში, ტრენინგი პედაგოგებისათვის, საინფორმაციო შეხვედრები ჟურნალისტებთან, ეთერში გავიდა სატელევიზიო და რადიოგადაცემები.

ამ აქტივობებმა გარკვეულწილად შეცვალა მონაწილეთა დამოკიდებულება გენდერული საკითხებისადმი.

ბროშურა მკითხველს აძლევს ინფორმაციას სხვადასხვა გენდერული ცნების შესახებ.

სქესი - აღნიშნავს ადამიანის ბიოლოგიურ კუთვნილებას მდედრობითი და მამრობითი სქესისადმი და ეხება ქალისა და მამაკაცის ფიზიოლოგიურ ატრიბუტებს.

გენდერი - გულისხმობს კულტურით განპირობებულ შეხედულებებს ქალისა და მამაკაცის ინტელექტუალური შესაძლებლობების, მათი პიროვნული თვისებებისა და ქცევის შესახებ. გენდერი, როგორც სოციალური წარმონაქმნი, იქმნება საზოგადოების მიერ. ის წარმოადგენს ქალისა და მამაკაცის ქცევის მოდელს, რომელიც განსაზღვრავს მათ როლსა და მდგომარეობას საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

გენდერი განსაზღვრავს ქალის და მამაკაცის ფსიქოლოგიურ ნიშნებს, შესაძლებლობებს, მოღვაწეობის სფეროს, პროფესიას, საქმიანობას და ემყარება აღზრდის სისტემას, ტრადიციას და წეს-ჩვეულებებს, სამართლებრივ ნორმებს.

გენდერული როლები წარმოადგენენ ქცევის განსაზღვრულ ფორმებს, ნორმებს და ღირებულებებს, რომლებსაც მოცემულ საზოგადოებაში მიაკუთვნებენ მდედრობითი და მამრობითი სქესის წარმომადგენლებს. ეს როლები განსაზღვრავენ, რა ახასიათებთ მამაკაცებს და რა – ქალებს. გენდერული როლები ყალიბდება ქალისა და მამაკაცის სქესებს შორის განსხვავების შესახებ სტერეოტიპული კულტურულ-ტრადიციული შეხედულებების კონტექსტში.

გენდერული მიდგომა ნიშნავს სხვადასხვა სფეროში სქესისაგან დამოუკიდებელი შესაძლებლობების უზრუნველყოფის ხერხების შემუშავებას.

გენდერული მიდგომა თანაბრადაა მიმართული გოგონებისა და ბიჭებისადმი (ქალებისა და მამაკაცებისადმი).

გენდერული მიდგომა გულისხმობს, რომ ყურადღება უნდა მიექცეს ქალსაც (გოგონებსაც) და მამაკაცსაც (ბიჭებსაც), მათ როლებს, მოვალეობებს, მოთხოვნილებებს, პოტენციალს.

გენდერული მიდგომა ნებისმიერ სფეროში ვარაუდობს, რომ გენდერული განსხვავებები მამაკაცებისა და ქალების ქცევებსა და აღზრდაში განისაზღვრება არა იმდენად მათი ფიზიოლოგიური, ბიოლოგიური, ანატომიური თავისებურებებით, რამდენადაც სოციო-კულტურული ფაქტორებით.

სკოლამდელ განათლებაში გენდერული მიდგომის ძირითადი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ გოგონების და ბიჭების სათანადო განვითარებისათვის გათვალისწინებულ იქნას საგანმანათლებლო პროცესის სპეციფიკური ზემოქმედების ყველა ფაქტორი (არსი, სწავლების მეთოდები და ფორმები, გარემოს და სივრცის ორგანიზება, პედაგოგიური ურთიერთობა და ა.შ.).

გენდერული მიდგომის მაჩვენებლები:

- მამაკაცებისა და ქალების (გოგონებისა და ბიჭების) ინტერესთა სხვაობა ცალკე აღებული ოჯახური მეურნეობის ფარგლებში;
- ტრადიცია და იერარქიული ორიენტირები, რომლებიც განსაზღვრავენ ქალებისა და მამაკაცების პოზიციებს ოჯახში, საზოგადოებაში, რის მეშვეობითაც, როგორც წესი, მამაკაცები დომინირებენ ქალებზე;
- განსხვავებები ქალებსა და მამაკაცებს შორის, რომლებიც დამყარებულია ასაკზე, სიმდიდრეზე, ეთნიკურ და სხვა ფაქტორებზე;
- გენდერული როლებისა და ურთიერთობების მიმართულებების ცვლილებები, რაც საკმაოდ სწრაფად ხორციელდება სოციალური, ეკონომიკური და ტექნოლოგიური ტენდენციების შედეგად.

გენდერული განსხვავებები სკოლამდელ სიტუაციებში

ბიჭები

გოგონები

უფრო მეტ სივრცეს იკავებენ სათამაშო მოედანზე	თავს იყრიან ჯგუფებში, მცირე სივრცეს იკავებენ
მოედანზე თამაშის დროს მეტს დარბიან, არიან უფრო უხეშები, მამაცები და აგრესიულები. თანამშრომლობაზე მეტად შეჯიბრი მოსწონთ	მოედანზე თამაშები უფრო წყნარი და ნაკლებად აქტიური, უფრო თანამშრომლობითია
თამაშებისთვის დამახასიათებელია ფიზიკური კონტაქტი, მოქმედების უწყვეტი დინება	თამაშის დროს იცავენ რიგს, ახასიათებთ არაპირდაპირი კონკურენცია
მეტად აქვთ გამოხატული მეტყველების პრობლემები	ნაკლებად აქვთ გამოხატული მეტყველების პრობლემები
რაიმე ამბის გადმოცემისას დამახასიათებელია ეგზალტირებული თხრობა, ჟესტიკულაცია, მსხვერპლის იგნორირება	თხრობისას ყურადღება გამახვილებულია ადამიანებს შორის ურთიერთობებზე, მსხვერპლის გრძნობებზე
გრძნობებს გამოხატავენ მოქმედების საშუალებით	გრძნობებს გამოხატავენ სიტყვების საშუალებით

გენდერული განსხვავებები

გოგონები (ბიჭებთან შედარებით)

- უფრო ორიენტირებულნი არიან საკუთარი თავის, მასწავლებლის და მშობლის მიმართ
- უკეთეს მოტორულ ჩვევებს ავლენენ ნატიფი მოძრაობების კონტექსტში
- უფრო ბეჯითნი არიან და პასუხისმგებლობის გრძნობით ხასიათდებიან
- უყვართ სასუსნავი და კაშკაშა სინათლე
- ხასიათდებიან აუდიალური სტილით

ბიჭები (გოგონებთან შედარებით)

- უფრო ორიენტირებულნი არიან თანატოლებზე
- უფრო ვიზუალური და კინესთეტიკური / ტაქტილური სტილით ხასიათდებიან (ბიჭების 95%-ს მუდმივი მოძრაობის მოთხოვნილება აქვს)
- უყვართ ხმაური
- ნაკლებად აკონტროლებენ საკუთარ იმპულსებს



**კულტურულ-ჰუმანიტარული
ფონდი „სოხუმი“**

**გამოცემაზე მუშაობდნენ
ნანული რამიშვილი
ლალი შენგელია
ლია კოსტავა**

მისამართი:

ქ. ქუთაისი, მაგლობლიშვილის 6

ტელ: 27 29 02 ფაქსი: 27 13 68

ელფოსტა: womansukhumi@gmail.com

ვებგვერდი: www.fsokhumi.ge

2015